თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-55338-23
07 / 09 / 2023

შპს ,,ქორუგატორი“-ს დირექტორს
ლაშა ჩიკვილაძეს

ბატონო ლაშა,

თქვენი მიმდინარე წლის 29 აგვისტოს №02-13-55338-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, მუხაძის ქუჩა №5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.17.003.052) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს გადის შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი მიწისქვეშა D=100 მმ-იანი და მიჯნაზე ფიქსირდება საჰაერო D=40 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენები. კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

- მანძილი მიწისქვეშა **(D=100 მმ-იანი)** გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ **4 (ოთხი)** მეტრით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესების შესაბამისად;
- საჰაერო **(D=40 მმ-იანი)** მილსადენთან მიმართებაში აუცილებელია დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ შეიზღუდოს ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი მომსახურების შესაძლებლობა.

საჭიროებისამებრ, დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, ასევე კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით.

შეთანხმება ძალაშია **6 (ექვსი)** თვის ვადით.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში